



გერმანიის ფედერაციული  
რესპუბლიკის საელჩო  
თბილისი

**მნიშვნელოვანი მითითება:** სავიზო განაცხადის შემოტანაზე ჩაწერა ხორციელდება მხოლოდ ინტერნეტით. თარიღის დასაჯავშნად გადადით [ამ ბმულზე](http://www.tiflis.diplo.de) ან ეწვიეთ საელჩოს ვებ-გვერდს [www.tiflis.diplo.de](http://www.tiflis.diplo.de).

სატელეფონო ინფორმაცია:  
ორშ. - პარ. 9 - 13 სთ., ტელ.: +995 32 2435399  
ინფორმაცია ელ. ფოსტით: [visa@tifl.diplo.de](mailto:visa@tifl.diplo.de)

## საინფორმაციო ფურცელი № D1f: ვიზა ოჯახის სხვა წევრების გერმანიაში საცხოვრებლად გადასვლის მიზნით

ნომბერი 2019

### ზოგადი ინფორმაცია

გერმანიის ან მესამე ქვეყნის მოქალაქესთან გერმანიაში საცხოვრებლად გადასვლისათვის აუცილებელი უფლება ოჯახის წევრს (გარდა მეუღლისა, არასრულწლოვანი შვილისა და ერთადერთი მზრუნველობის უფლების მქონე პირისა თავის არასრულწლოვან შვილთან გგამგზავრებისას) შეიძლება მიეცეს მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე შემთხვევის თავიდან ასაცილებლად (AufenthG - უცხოელ მოქალაქეთა სტატუსის შესახებ გერმანიის კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად).

განსაკუთრებით მძიმე შემთხვევას აქვს ადგილი, როდესაც ოჯახის ერთ წევრს ოჯახის სხვა წევრისგან სასწრაფოდ სჭირდება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დახმარება და ამ დახმარების გაწევა შესაძლებელია მხოლოდ გერმანიაში (მაგ.: განსაკუთრებული მოვლის აუცილებლობის შედეგად). გარემოებები, რომლებიც ასაბუთებენ განსაკუთრებით მძიმე შემთხვევას, უნდა ყოველთვის გამომდინარეობდეს ერთეული შემთხვევის ინდივიდუალური თავისებურებებიდან (მაგ.: ავადმყოფობა, ინვალიდობა, მოვლის აუცილებლობა, ფსიქიური მდგომარეობა). მაგალითად არახელსაყრელი სასკოლო, ეკონომიკური, სოციალური და სხვა გარემოებები სამშობლოში ვერ დაადასტურებენ მძიმე შემთხვევას.

ეგრეთწოდებული განსაკუთრებით მძიმე შემთხვევის ფარგლებში ოჯახის შეერთების მიზნით აუცილებელ ვიზაზე განაცხადის შემოტანისასაც აუცილებელია განმცხადებლის პირადად მოსვლა სავიზო განყოფილებაში, რადგან განაცხადის შემოტანისას უნდა ჩააბაროთ ბიომეტრიული მონაცემები (თითის ანაბეჭდები). თითის ანაბეჭდების აღება შესაძლებელია მხოლოდ სავიზო განყოფილებაში.

ყველა საბუთი უნდა შემოიტანოთ **ორიგინალში** ორ ასლთან ერთად. უცხოენოვან საბუთებს თან უნდა დაურთოთ გერმანული თარგმანი. უცხოური საბუთები მოქალაქეთა მდგომარეობის შესახებ (მაგ. დაბადების მოწმობა, ქორწინების მოწმობა და ა.შ.) აუცილებლობის შემთხვევაში უნდა იყოს ლეგალიზებული ან დამოწმებული აპოსტილით. იგივე სახის ქართულ საბუთებს უნდა ჰქონდეს აპოსტილი.

### ვიზის მისაღებად საჭიროა შემდეგი საბუთების წარმოდგენა:

#### მითითება:

ამ საინფორმაციო ფურცელში მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა მონაცემებსა და შეფასებებს, რომლებიც საელჩოს ტექსტის შედგენის დროისთვის გააჩნია. ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას ამ ინფორმაციის სრულყოფილებასა და სისწორეზე, განსაკუთრებით დროდადრო შესული ცვლილებების გამო. თქვენ შეკითხვებს სიამოვნებით უპასუხებს საელჩოს სამართლებრივი და საკონსულო განყოფილება.

თბილისი 0112, დავით აღმაშენებლის გამზ. 166, ტელ.: + (995 32) 243 53 99, ფაქსი: + (995 32) 291 16 51, +49 30 5000 67133

[HTTP://WWW.TIFLIS.DIPLO.DE/](http://www.tiflis.diplo.de/)



გერმანიის ფედერაციული  
რესპუბლიკის საელჩო  
თბილისი

**მნიშვნელოვანი მითითება:** სავიზო განაცხადის შემოტანაზე ჩაწერა ხორციელდება მხოლოდ ინტერნეტით. თარიღის დასაჯავშნად გადადით [ამ ბმულზე](http://www.tiflis.diplo.de) ან ეწვიეთ საელჩოს ვებ-გვერდს [www.tiflis.diplo.de](http://www.tiflis.diplo.de).

სატელეფონო ინფორმაცია:  
ორშ. - პარ. 9 - 13 სთ., ტელ.: +995 32 2435399  
ინფორმაცია ელ. ფოსტით: [visa@tifl.diplo.de](mailto:visa@tifl.diplo.de)

- სრულყოფილად შევსებული და პირადად ხელმოწერილი ორი [ანკეტა](#)
  - განმცხადებლის შემთხვევაში, რომელსაც ჯერ არ შეუსრულდა 18 წელი, განაცხადზე ხელი უნდა მოაწეროს მზრუნველობის უფლების მქონე ყველა პირმა.
  - თუ მზრუნველობის უფლების ერთ-ერთ პირს არ შეუძლია განაცხადზე ხელის მოწერა, მან წერილობით, ნოტარიულად დამოწმებული ფორმით უნდა განაცხადოს თანხმობა სავიზო განაცხადის შემოტანაზე.
  - ამ შემთხვევაში უნდა დაურთოთ ამ პირის პასპორტის ან პირადობის მოწმობის სურათიანი გვერდის ორი ასლი.
- პირადად ხელმოწერილი ორი განცხადება უცხოელ მოქალაქეთა სტატუსის შესახებ გერმანიის კანონის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-8 ქვეპუნქტის შესაბამისად ამავე კანონის 53-ე მუხლიდან გამომდინარე, რომლის ნახვაც შესაძლებელია [გერმანიის საელჩოს ვებ-გვერდზე](#) (არასრულწლოვანი განმცხადებლის შემთხვევაში იხილეთ ზემოთ მოცემული ინფორმაცია);
- სამოგზაურო პასპორტი (და სურათიანი გვერდის ორის ასლი);
- მათთვის, ვინც არ არის საქართველოს მოქალაქე: საქართველოში ცხოვრების უფლების დამადასტურებელი საბუთი;
- ორი ბიომეტრიული ფოტოსურათი (ცალკე დაურთეთ განაცხადს);
- დამპატიჟებელი პირის მიწვევა, რომელშიც იგი საკუთარ თავზე იღებს ვალდებულებას, გადაიხადოს AufenthG-ს 66-68-ე პარაგრაფებით გათვალისწინებული ყველა ხარჯი (Verpflichtungserklärung).
- მოქალაქეობრივი მდგომარეობის საბუთი და საჭიროების შემთხვევაში გერმანიაში მცხოვრებ იმ ნათესავთან ნათესაური კავშირის დამადასტურებელი სხვა საბუთი, ვისთანაც გადადიხართ საცხოვრებლად, მაგალითად ქორწინების მოწმობა, დაბადების მოწმობა, არსებობის შემთხვევაში განქორწინების, გარდაცვალების მოწმობა, გვარის შეცვლის მოწმობა, შვილად აყვანის საბუთი, სასამართლო და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებები.
- გერმანიაში მცხოვრები ნათესავის პასპორტის ან პირადობის მოწმობის სურათიანი გვერდის ორი ასლი და არსებობის შემთხვევაში ქვეყანაში ყოფნის უფლების ორი ასლი.
- დაწვრილებითი აქტუალური საბუთები, რომლებიდანაც ჩანს, რატომ არის აუცილებელი გერმანიაში მცხოვრებ ნათესავთან გამგზავრება, მაგალითად თანდართული წერილი მიზეზების ახსნით, აქტუალური საექიმო დასკვნები, მზრუნველობითი დაწესებულებების, სახლში მოვლის სამსახურის, სოციალური უწყებების ცნობები და სხვა.  
*მიაქციეთ ყურადღება, რომ განაცხადის შემოწმების ფარგლებში შეიძლება მოგთხოვოთ საელჩოს ნდობით აღჭურვილ ექიმთან შეხვედრა. დამატებით ინფორმაციას შემოწმებასთან და ჩაწერასთან დაკავშირებით ასეთ შემთხვევებში მიიღებთ შესაბამის დროს საელჩოსაგან. შემოწმება ფასიანია.*
- საჭიროების შემთხვევაში სხვა საბუთები (მაგ.: გერმანული ენის ცოდნის) და სამოგზაურო სამედიცინო დაზღვევა (სავიზო განაცხადზე დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ვიზის მიღებისას უნდა წარადგინოთ სამოგზაურო ჯანმრთელობის დაზღვევის მოქმედი საბუთი, თუ ასეთი საბუთი უკვე წინასწარ არ გაქვთ ჩაბარებული).

**მითითება:**

ამ საინფორმაციო ფურცელში მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა მონაცემებსა და შეფასებებს, რომლებიც საელჩოს ტექსტის შედგენის დროისთვის გააჩნია. ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას ამ ინფორმაციის სრულყოფილებასა და სისწორეზე, განსაკუთრებით დროდადრო შესული ცვლილებების გამო. თქვენ შეკითხვებს სიამოვნებით უპასუხებს საელჩოს სამართლებრივი და საკონსულო განყოფილება.



გერმანიის ფედერაციული  
რესპუბლიკის საელჩო  
თბილისი

**მნიშვნელოვანი მითითება:** სავიზო განაცხადის შემოტანაზე ჩაწერა ხორციელდება მხოლოდ ინტერნეტით. თარიღის დასაჯავშნად გადადით [ამ ბმულზე](http://www.tiflis.diplo.de) ან ეწვიეთ საელჩოს ვებ-გვერდს [www.tiflis.diplo.de](http://www.tiflis.diplo.de).

სატელეფონო ინფორმაცია:  
ორშ. - პარ. 9 - 13 სთ., ტელ.: +995 32 2435399  
ინფორმაცია ელ. ფოსტით: [visa@tifl.diplo.de](mailto:visa@tifl.diplo.de)

გთხოვთ, ყველა საჭირო საბუთი წარმოადგინოთ ზემოთ მოცემული თანმიმდევრობით სამ კომპლექტად და შესაბამისი საბუთის წინ არსებულ პატარა ოთხკუთხედში მოხაზოთ, რომ შეგიძლიათ იქ მითითებული საბუთის წარმოდგენა.

გთხოვთ, საბუთები შემდეგი თანმიმდევრობით დააწყოთ:

- პირველ და მეორე კომპლექტებში: შესაბამისად თითო-თითო ანკეტა და განაცხადება ყველა სხვა დოკუმენტების ასლებთან ერთად მოცემული თანმიმდევრობით;
- მესამე კომპლექტში: ყველა ორიგინალი საბუთი მოცემული თანმიმდევრობით.

### მნიშვნელოვანი მითითებები:

- განაცხადის შემოტანისას ან განაცხადის განხილვისას შეიძლება მოვითხოვოთ დამატებითი საბუთები, რომლებიც აქ არ არის მითითებული.
- განაცხადის განხილვას როგორც წესი სჭირდება დაალოებით 10-12 კვირა, მაგრამ ერთეულ შემთხვევებში ეს დრო შეიძლება გაიზარდოს.
- გთხოვთ, არ მოგვმართოთ შეკითხვებით ჩაბარებული სავიზო განაცხადის განხილვის პროცესში. მონაცემთა დაცვის სამართლებრივი მიზეზების გამო ჩვენ ვერ გავცემთ ტელეფონით ინფორმაციას სავიზო განაცხადების განხილვის შესახებ.
- სავიზო განაცხადის შემოტანის საფასური შეადგენს 75 ევროს (18 წლამდე - 37,50 ევროს) და გადახდილ უნდა იქნეს განაცხადის შემოტანისას იმ დღეს არსებული აქტუალური კურსით ლარში. საფასურის გადახდა სხვა ვალუტაში ან სადებეტო/საკრედიტო ბარათებით შეუძლებელია.

გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება, რომ საბუთები სრულყოფილი სახით წარმოადგინოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია, თქვენი სავიზო განაცხადი უარყოფილ იქნეს.

ჩვენ რეგულარულად ვანახლებთ ამ საინფორმაციო ფურცელს. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია, რომ მასში მოცემული ინფორმაცია არ იყოს სრულყოფილი. ერთეულ შემთხვევებში შეიძლება დაგჭირდეთ დამატებითი საბუთების ჩაბარება.

### მითითება:

ამ საინფორმაციო ფურცელში მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა მონაცემებსა და შეფასებებს, რომლებიც საელჩოს ტექსტის შედგენის დროისთვის გააჩნია. ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას ამ ინფორმაციის სრულყოფილებასა და სისწორეზე, განსაკუთრებით დროდადრო შესული ცვლილებების გამო. თქვენ შეკითხვებს სიამოვნებით უპასუხებს საელჩოს სამართლებრივი და საკონსულო განყოფილება.